

## STEC-შიგა-ტონისი მაპოლიუმირებელი E.COLI- ინფექციის თავისებურებები თანამედროვე ეტაპე

ქ. გაშაკიძე,<sup>1</sup> თ. მეგრელიშვილი,<sup>1</sup> ქ. პაჭურია,<sup>1</sup> ლ. თევზაძე,<sup>2</sup>  
 ქ. ჯანგავაძე<sup>1</sup>

<sup>1</sup> თსსუ ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი;

<sup>2</sup> დააგადებათა კონტროლის და საზოგადოებრვის ჯანდაცვის ეროვნული  
 ცენტრი (NCDC)

მიღებულია 17.05.2012

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრატიკულ ცენტრში დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 2011 წელს პემორაგიული კოლიტის დაგნოზით ჰოსპიტალური 100 პაციენტი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პემორაგიული კოლიტების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში STEC-ინფექციის ხევდრითი წილის დადგენა და HUS-ით გართულებულ შემთხვევათა კლინიკური თავისებურებების გამოვლენა. STEC-ინფექცია დაუდასტურდა 50 პაციენტს (50%). STEC-ინფექციის დადგენა ხდებოდა ბაქტერიოლოგიური, მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური მეთოდებით (PCR და ImmunoCard STAT მეთოდები) (NCDC). მიღებული დაბორატორიული შედეგები მოუთითებს საქართველოში შიგა-ტონქის მაპოლიუმირებელი E.coli-ს ცირკულაციაზე. გამოვლინდა როგორც 0157, ისე non-0157 შტამები (026, 0111, 0103 და ა.შ.). ახალი თანამედროვე დაბორატორიული მეთოდებით (PCR და ImmunoCardSTAT) შიგა-ტონქის მოლექულური მარკერების ფეკალიებში დეტექციის შემდეგ, STEC-ინფექციის დადასტურების სიხშირე სარწმუნოდ გაიზარდა ბაქტეროლოგიურ კვლევასთან შედარებით (41% vs 19%, შესაბამისად). სხვა ეტიოლოგიის პემორაგიულ კოლიტებთან შედარებით STEC-ინფექცია მძიმე მიმდინარეობით ხასიათდებოდა. შესწავლილი იყო გამოყოფილი EHEC 11 შტამის ანტიბიოტიკოგრამა. გამოყოფილი შტამები უმრავლეს შემთხვევებში მაღალ რეზისტენტობას და ნაკლებ მგრძნობელობას აღმოჩნდნენ შემდეგი ანტიბიოტიკების მიმართ: Ampicillin, Cefazolin, Doxycycline, Trimetoprim-sulfametoxyzazole, Ceftriaxone, Ciprofloxacin, Aztreonam, Amikacin. აღმოჩნდა, რომ მოცმული შტამები მგრძნობელობას ინარჩუნებდნენ შემდეგი პრეპარატების მიმართ: Imipenem, Piperacillin-tazobactam, Chloramphenicol, Fosfomycin, Gentamicin. HUS-ით გართულება STEC-ინფექციის დროს უფრო ხშირად განვითარდა იმ პაციენტებში, რომელთაც ანტიბიოტიკოგრამა კლინიკური შემთხვევაში მდგრადი დაგწყო. გართულებები განუვითარდა პაციენტთა 32%-ს, მათგან HUS პრემორბიდული ფონით უხშირესად გამოვლინდა ქალებში (26%). პემოდია-



ლიზი საჭირო გახდა 5-თან. კომპლექსური ეტიოპათოგენური საციენტრი განიცემობა, ლეგიალური შემთხვევას, დღიული არ ჰქონია.

**საკანძო სიტყვები:** ენტეროპათოლოგიული *E. coli*, STEC-ინფექცია, HUS, ანტი-ბიოტიკორეზისტენცია

ინფექციური დიარეები რჩება შინაგანი მედიცინის აქტუალურ პრობლემად, რაც განპირობებულია როგორც დაავადებათა გავრცელების არეალის გაფართოებით, ასევე მძიმე და გართულებული შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, XXI საუკუნის დასაწყისისთვის განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად 2 მილიარდზე მეტი შემთხვევა გახვდება, რომელთაგან 3.5 მლნ [6] ლეტალური გამოსავლით მთავრდება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში ბოლო ათწლეულში აღინიშნება ინფექციური დიარეებით ავადობის მაჩვენებლის ზრდა როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში 139.4-დან 614.3-მდე (100000 მოსახლეზე) (NCDC).

ინფექციური დიარეგბის ეტიოლოგიური სტრუქტურა მრავალფეროვანია, მათ შორის მნიშვნელოვანია ენტერობაქტერიის მრავალრიცხვოვანი წარმომადგენელი. თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში ინფექციური დიარეგბის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი აღგილო შიგელებსა (s. *flexneri*, s. *sonnei*) და საღმონელებს (s. *typhimurium*, s. *enteritidis*) ეკავათ, ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად მოიმარტა პათოგენური *E.coli*-ს როლმა [1]. ინტესტინული პათოგენური *E. coli*-ს სხვადასხვა შტამებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შიგა-ტრქსინ მაპროდუცირებელი *E. coli* - (STEC). STEC-ინფექცია ხასიათდება ჰემორაგიული კოლიტის კლინიკური მიზანით და ზოგ პაციენტში ვითარდება სიცოცხლისთვის საშიში ექსტრაანტეგსტინული გართულებები - ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი (Hemolytic-Uremic Syndrome-HUS)[5]. მნიშვნელოვანია, რომ 2011 წ. გერმანიაში STEC-ინფექციის ეპიდაზეთქმების დროს რეგისტრირებული 3842 შემთხვევიდან HUS-სინდრომი განუვითარდა ინფიცირებულთა 5%-ს, რაც 4%-ში ლეპტოლინით დამთავრდა [4]. საქართველოში ჰემორაგიული კოლიტების ეტიოლოგიური სტრუქტურა ხშირად გაუშიფრავი რჩება, რაც, ერთი მხრივ, რეგიონში მოცირკულირე გამომწვევთა მრავალფეროვნებით და, მეორე მხრივ, ლაბორატორიული დიაგნოსტიკის არასრულყოფილებით უნდა იყოს განპირობებული.

ლიტერატურის მონაცემებით, ენტეროპექმორაგიული ეშერის ხელის მკურნალობაში ანტიბიოტიკების გამოყენების საკითხი საკამათოა და ღიად რჩება.

ბოლო წლებში აღინიშნება ენტეროპათოგენური *E.coli*-ის სხვადასხვა შტამების რეზისტენტობის ზრდა. ამავე დროს, 2011 წელს გერმანიაში ჰპილაფეთქების მაგალითზე ანტიბიოტიკოთერაპიის ფონზე აღინიშნა და-ავადების კლინიკური მიმდინარეობის გაუარესების და HUS-ით გართულე-ბულ შემთხვევათა სიხშირის მატება [3].

## ପାନ୍ଦିତ୍ୟ ଓ କାମତରଣକୁ

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პემორაგიული კოლიტების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში STEC-ინფექციის ხედრითი წილის დადგენა და HUS-ით გართულებულ შემთხვევათა კლინიკური თავისებურებების გამოვლენა. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა პემორაგიული კოლიტით დაავადებული 100 პაციენტი; მათ შორის 50 პაციენტში დადასტურდა STEC-ინფექცია, მათგან 13-ში დაავადება გართულდა HUS-ით. პაციენტებს მჟღნალობა უტარდებოდათ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში. STEC-ინფექციის დიაგნოზის დადგენა ხდებოდა ბაქტერიოლოგიური მეთოდით: კულტურის მიღება; შიგა-ტრაქსინის მარკერების (stx1, stx2, eae, ehy) ალმონჩნა ხდებოდა ფერალიტის გამოკვლევით PCR და ImmunoCard STAT-მეთოდით [2]; გამოყოფილი EHEC შტამების მგრძნობელობის შესწავლის მიზნით ანტიბიოტიკოგრამის განსაზღვრა. გამოკვლევები ტარდებოდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC) ბაქტერიოლოგიურ დაბორატორიაში.

## შეღებები და მათი განხილვა

100 ჰემორაგიული კოლიტით დაავადებულ პაციენტთან ეტილოგია გაი-შიფრა 38%-ში. გამოვლინდა შემდეგი ენტეროპათოგენური მიკრორგანიზმები: STEC – (026, 0103, 0111, 045, 0157) – 50%, Shigella – 21% (*flexneri*, *sonnei*), *salmonella* – 5% (*enteritidis*), *klebsiella* – 15%, *citrobacter* – 3% და პათოგენური ეშერინიების იშვიათი სეროვარები – *E. hermani* – 3%, *E. fergusonii* – 3%. 62%-ში ვერ მოხერხდა დიაგნოზის ბაქტერიოლოგიური დადასტურება. 100 პაციენტის მოლებულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური მეთოდით ვეკალიების გამოკლევამ დაადასტურა შიგა-ტოქსინის არსებობა 41 შემთხვევაში (41%).

STEC-ინფექციის დიაგნოზი კომპლექსურად (ბაქტერიოლოგიური, მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური კვლევა) დაუდგინდა 50 პაციენტს (50%). მათგან 10 შემთხვევაში დიაგნოზი დადასტურდა სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური მონაცემების თანხვდრით (STEC კულტურა + შიგა-ტოქსინი), 9 შემთხვევაში *E. coli*-ინფექციის დიაგნოზი ეყრდნობოდა მხოლოდ ბაქტერიოლოგიური კვლევით STEC კულტურის მიღებას. 31 შემთხვევაში კი შიგა-ტოქსინ მაპროდუცირებელი ბაქტერია გამოვლინდა სეროლოგიური კვლევით (62%). STEC-ინფექციის სპორადული შემთხვევები მთელი წლის მანძილზე რეგისტრირდებოდა, მაგრამ შემთხვევათა მატების პიერი ივლის-აგვისტოს თვეებზე მოდიოდა (65%). STEC-ინფექცია უფრო ხშირად რეგისტრირდებოდა სოფლის მაცხოვრებლებში, ვიდრე ქალაქის (შესაბამისად, 54% vs 46%), ძირითადად 30-40 წლის პირებში. ქალები მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ მამაკაცებს (74% vs 26%). ჰემორაგიული კოლიტის შედარებით მძიმე კლინიკური მიმდინარეობის ფორმები გამოვლინდა STEC-ინფექციის ჯგუფში (50%). STEC-ინფექციის მიმდინარეობა

განსხვავდებოდა სხვა ეტიოლოგიის პერიოდული კოლიტის კლინიკურნა; ეს უკანასკნელი ხასიათდებოდა მწვავე დასაწყისით, მაღალი ცხელებით ( $38\text{--}39^{\circ}\text{C}$ ), დისპეციური სიმპტომებით, ზემოქმედი ადომინური ტკივილით, ტენესტებით, დეფეკაციის გახშირებით 10-15-ჯერ დღე-დამეში სისხლის და ლორწოს შემცველი მასებით (50%). STEC-ინფექციისთვის დამახასიათებელი იყო: დაბალი სუბფებრილიტეტის ფონზე უმნიშვნელო დისპეციური მოვლენები, დაავადების მე-2-3 დღიდან ადომინური სინდრომის მწვავედ დაწყება, მუცლის შეტევითი, დიფუზური ტკივილი, ტენესტები, დეფეკაციის სიხშირე 30-40-ჯერ დღე-დამეში, უხესისხლიანი ფეკალური მასებით ფაქტიურად განავლოგანი მასების გარეშე. STEC ინფექციით პაციენტებში გართულებები განუვითარდა 32%-ს; მათგან HUS გამოუვლინდა 13-ს (26%).

HUS-ის ჯგუფში (13 პაციენტი) ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს (77% vs 23%). HUS უფრო ხშირად 30-40 წლის ქალებში განვითარდა; ამასთან, იმ პაციენტებში, რომლებიც შედარებით გვიან, დაავადების მე-4-5 დღეზე იყვნენ ჰოსპიტალიზებულნი. აღსანიშნავია, რომ მათ დამძიმებული ჰქონდათ პრემორბიდული ფონი რენალური დაფიციტური ანემით, საშარდე სისტემის ქრონიკული დაავადებებით, ანამნეზში ორსულთა ნეფროპათიით, პოლიართობით.

ტიპური იყო სუბფებრილური ცხელება ( $37\text{--}37.5^{\circ}\text{C}$ ) და სისხლიანი დიარეის დაწყება დაავადების მე-3 დღეს (67%). შეშუპების სინდრომი და დიზურიული მოვლენები HUS-ით პაციენტთა 2/3-ში დაავადების მე-3-4 დღეზე ვლინდებოდა. პაციენტებს ჰოსპიტალიზაციის პირველსავე დღეს აღენიშნებოდათ ლაბორატორიული მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილებები: ლეიკოციტოზი (12-14000), ნეიტროფილოზით და ფორმულის მარცხნივ გადახრით. მე-2-3 დღიდან ვლინდებოდა მზარდი ჰემოლიზური ანემია ჰემოგლობინის დაქვეითებით და ერითროპენიით, ასევე ორომბოციტოპენია; შარდოვანას, კრეატინინის და ლაქტატდაზრდებაზას მაჩვენებლის მომატება თირკმლის უკმარისობის განვითარების ფონზე.

შესწავლილი იყო გამოყოფილი EHEC 11 შტამის ანტიბიოტიკოგრამა. გამოყოფილი შტამები უმრავლეს შემთხვევებში მაღალ რეზისტენტობას (R) და ნაკლებ მგრძნობელობას (I) ავლენდნენ შემდეგი ანტიბიოტიკების მიმართ: Ampicillin, Cefazolin, Doxycycline, Trimetoprim-sulfametoaxazol, Ceftriaxone, Ciprofloxacin, Aztreonam, Amikacin. აღმოჩნდა, რომ მოცემული შტამები მგრძნობელობას ინარჩუნებდნენ (S) შემდეგი პრეპარატების მიმართ: Imipenem, Piperacillin-tazobactam, Chloramphenicol, Fosfomycin, Gentamicin. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მასალაზე HUS-ით განვითარდა STEC-ინფექციის დროს უფრო ხშირად განვითარდა იმ პაციენტებში, რომელთაც ანტიბიოტიკოგრამა დაეწყოთ კლინიკაში შემთხველამდე. ჰემორაგიული კოლიტის შედარებით მიმდევად აღენიშნება პაციენტებს, რომლებიც ბინაზე ლევომიცეტინით იწყებდნენ თვითმეურნალობას. ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში სამკურნალო ტაქტიკა ითვალისწინებდა პათოგენურ და სიმპტომურ თერაპიას (კრისტალინიდური, კოლოიდური ხსნაების ინფუზია, ვიტამინოთერაპია და სხვ.). ანტიბიოტიკოგრამის მიზნით გამოყენებული იყო

ცეფალოსპორინები და ფტორქინოლონები იმ პაციენტებში, საჭირო დაავადების მძიმე მიმდინარეობა აღინიშნებოდა. ჰემოდიალიზი საჭირო გახდა 5-თან (10%). ლეტალური შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

## შედეგები და გათი განხილვა

ამრიგად, ჰემორაგიული კოლიით დაავადებული 100 პაციენტის კომპლექსური ბაქტერიოლოგიური, მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური კვლევით STEC-ინფექციის დიაგნოზის დადასტურება შესაძლებელი გახდა შემთხვევათა 50%-ში, რაც მიუთითებს საქართველოში შიგა-ტოქსინ მაპროდუცირებელი *E. coli*-ის ცირკულაციაზე. გამოვლენილი იყო როგორც O157, ისე non-O157 სეროვარები (0157, 026, 0111, 0103 და ა.შ.). ბაქტერიოლოგიურ კვლევასთან შედარებით (41% vs 19%), STEC-ინფექციის დადასტურების სიხშირე ლაბორატორიული კვლევის ახალი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (PCR და ImmunoCard STAT მეთოდი) სარწმუნოდ გაიზარდა ფერალიებში შიგა-ტოქსინის მოლექულური მარკერების (stx1, stx2, eae, ehy) დეტექციის შემდეგ. გამოყოფილი მაღალრეზისტენტული შტამების არსებობა კი სავარაუდოდ წინა პერიოდში არარაციონალური ანტიბიოტიკორების (Ceftriaxone, ciprofloxacin და ა.შ.) გამოყენების შედეგი უნდა იყოს. ეს კი ემთხვევა ავტორთა შეხედულებას EHEC ინფექციის მკურნალობაში ანტიბიოტიკორების არაეფექტურობაზე. STEC-ინფექცია კლინიკურად ხასიათდებოდა სუბფებრილური ცხელების ფონზე მძიმე აბდომინური სინდრომის განვითარებით და HUS-ით გართულებით 26% შემთხვევაში. STEC-ინფექციის HUS-ით გართულება უფრო ხშირად აღინიშნა ქალებში პრემორბიდული ფონით. კომპლექსური ეტიოპათოგენური ორაპიით ყველა პაციენტი განიკურნა, ლეტალურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

## ლიტერატურა

1. მეცნიერებელი შეკვეთი თ. პირობით პათოგენური ენტერობაქტერიებით გამოწვეული ნაწილავთა მწვავე ინფექციების კლინიკური თავისებურებები მოზრდილებში. ავტორეფერატი, 1992, გვ. 10-22.
2. Bennett W.J., Tarr P. Enteric Infections and Diagnostic Testing. 2009, 25, 1-7.
3. Robert Koch Institute (RKI). The epidemiology bulletin of the Koch Institute [http://www.rki.de/cln\\_169/nn](http://www.rki.de/cln_169/nn).
4. Takkinnen J. European Center for Disease Prevention and Control. STEC 0104:H4, activities at EU level. Eu, RL, for E. coli, Rome, 4 November, 2011.
5. Tarr P.I., Gordon C.A., Chandtre W.L. Lancet, 2008, 365, 1087-1110.
6. World Health Organization. Available at <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs330/en/index.html>

## ОСОБЕННОСТИ STEC-ШИГА ТОКСИН ПРОДУЦИРУЮЩЕЙ *E.COLI*-ИНФЕКЦИИ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

*E. Vashakidze<sup>1</sup>, T. Megrelishvili<sup>1</sup>, E. Pachkoria<sup>1</sup>, L. Tevzadze<sup>2</sup>, M. Jangavadze<sup>1</sup>*

<sup>1</sup> Тбилисский медицинский государственный университет, кафедра инфекционных болезней; <sup>2</sup> Национальный центр контроля заболеваний и общественного здравоохранения Грузии

### РЕЗЮМЕ

Под наблюдением находились 100 больных, лечившихся в Научно-практическом центре инфекционной патологии ВИЧ и клинической иммунологии в 2011 году, с диагнозом геморрагического колита. Цель исследования – определить удельную долю STEC-инфекции в этиологической структуре геморрагических колитов и выявить клинические особенности при осложнении ГУС синдромом. STEC-инфекция подтвердилась у 50 пациентов (50%). Подтверждение STEC-инфекции проводилось бактериологическим, молекулярно-биологическим и серологическим методами. Полученные лабораторные данные указывают на циркуляцию Шига-токсин продуцирующих штаммов эшерихий на территории Грузии. Выявлены как 0157, также non-0157 штаммы (026, 0111, 0103 и т.д.). Современными лабораторными методами (PCR, ImmunoCard STAT) частота подтверждений STEC-инфекции (детекция молекулярных маркеров Шига токсина) увеличилась по сравнению с бактериологическими исследованиями. STEC-инфекция отличалась тяжёлым течением, по сравнению с геморрагическими колитами другой этиологии. Была изучена антибиотикограмма 11 штаммов. Выделенные штаммы в большинстве случаев проявляли высокую резистентность и низкую чувствительность к следующим антибиотикам: Ampicillin, Cefazolin, Doxycycline, Trimetropim-sulfamетоксазол, Ceftriaxone, Ciprofloxacin, Aztreonam, Amikacin. Выяснилось, что данные штаммы сохраняли чувствительность к следующим антибиотикам: Imipenem, Piperacillin-tazobactam, Chloramphenicol, Fosfomycin, Gentamicin. В течение STEC-инфекции осложнения ГУС синдромом чаще всего проявлялись у тех пациентов, которые принимали антибиотики до поступления в клинику. Осложнения выявились чаще у женщин с преморбидным фоном. Гемодиализ понадобился в 5 случаях. После проведения этиопатогенезной терапии все пациенты вылечились. Летального исхода не наблюдалось.

### PECULIARITIES OF STEC-SHIGA-TOXIN-PRODUCING *E. COLI* INFECTION AT THE MODERN STAGE

*E. Vashakidze<sup>1</sup>, T. Megrelishvili<sup>1</sup>, E. Pachkoria<sup>1</sup>, L. Tevzadze<sup>2</sup>, M. Jangavadze<sup>1</sup>*

<sup>1</sup> Tbilisi State Medical University. Department of Infectious Diseases; <sup>2</sup> National Center for Disease Control and Public Health

### SUMMARY

In 2011 the 100 hospitalized patients with hemorrhagic colitis underwent observation at the Center of Infectious Diseases, Aids and Clinical Immunology Practical-Research Center. The aim of our research was the identification of STEC-strains rate in the structure of hemorrhagic colitis

and revealing clinical features of the cases complicated by HUS. STEC-infection was confirmed by the bacteriological, molecular-biological and serological investigations (PCR an ImmunoCard STAT methods) (NCDC) in case of 50 patients. The laboratory results indicate that shiga-toxin producing E.coli is circulating in Georgia. There are not only 0157 but non-0157 strains as well (026, 0111, 0103, etc.) After revealing the shiga-toxin molecular markers in the stool by the use of the new and modern laboratory researches (PCR and ImmunoCard STAT) the rate of STEC-infection confirmation has significantly increased in comparison with the bacteriological researches (41% vs 19%). STEC-infection was characterized by the severe course of clinical manifestation as compared to hemorrhagic colitis.

Antibioticogram of isolated 11 EHEC strains was studied. The isolation in most cases revealed high resistance and less sensitivity to the following antibiotics: Ampicilin, Cefazolin, Doxycycline, Trimetropim-sulfametoazol, Ceftriaxone, Ciprofloxacine, Aztreonam, Amikacin. It was found out that they had sensitivity to the next antibiotics: Imipenem, Piperacilin-tazobactam, Chlorampenicol, Fosfomycin, Gentamicin.

The complication of STEC-infection by HUS is most often seen in those patients who received antibiotics before admission to hospital. Complications developed in 32% of patients, out of which HUS was revealed more frequently in women with the history of premorbid background (26%). 5 patients required dialysis. Every patient was cured by complex etiological-pathogenic therapy and there were no cases with lethality.